პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

31 აგვისტო, ოთხშაბათი, 1988 წ.
№ 168 (9835) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## ჭაბუკთა II საკავშირო სპორტული თამაშები

## საქართველოს სპორტსმენთა მონაპოვარი:

ოქროს მედლები:

- თავისუფალი ჭიდაობა — გოჩა მაკოევი (63 კგ, თბილისი, „შრომითი რეზერვები"); გიორგი ხინჩიკაშვილი (68 კგ, თბილისი, ასკ); აკაკი გაბედავა (81 კგ, სამტრედია, პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება).
- ვერცხლის მედალი — რამაზ გუჯარიაშვილი (97 კგ, საგარეჯო, პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება).
- ბრინჯაოს მედლები — დავით ბელთაძე (54 კგ, თბილისი, გლდანის სპორტული სკოლა-ინტერნატი); მერაბ ვალიევი (მძიმე, თბილისი, „შრომითი რეზერვები").


გიორგი ხინჩიკაშვილი


გოჩა მაკოევი


აკაკი გაბედავა

# ტალანტი თავისით არ გამობრწყინდება

ეს წერილი გვინდა ერთი ცნობილი გამოთქმის პერიფრაზით დავიწყოთ — ვინც დროზე ეხმარება ნიჭიერ მოზარდს, ის მას ორმაგად ეხმარება. ამას იმ მოზარდებზე მოგახსენებთ, რომლებისთვისაც ბუნებას სპორტული ტალანტი მოუმადლებია. მაგრამ, იცით, ერთია ტალანტი, მეორე კი — მისი დანახვა, ნიჭიერი ადამიანისთვის ხელის ჩაკიდება და დიდი სპორტის გზაზე გაყვანა. თანაც ეს სისტემა უნდა იყოს და არა ეპიზოდური ღონისძიება, სხვაგვარად სპორტში მემკვიდრეობითობა მოისპობა. ბოლო წლებში ამ პრინციპის ცხოვრებაში გატარებისთვის მართლაც ბევრი რამ კეთდება, უკვე 40-ზე მეტი ნიჭიერი მოზარდი გადმოიყვანა თბილისში რესპუბლიკის სპორტსახკომმა, ყველაფერი კეთდება საიმისოდ, რომ ამ ბავშვებს სპორტული დაოსტატების, სწავლისა და აღზრდის ნორმალური პირობები შეუქმნან. ცხადია, უყურადღებოდ არც მათი საყოფაცხოვრებო პირობები რჩებათ.

დღეს მოჭადრაკე გოგონებზე გესაუბრებით. ყველამ კარგად იცის ქეთევან არახამიას, ქეთევან კახიანის, თეა ლანჩავას, ნათია ჯანჯღავას, სოფიკო ტერელაძის, სოფიკო ნიკოლაძის წარმატებების შესახებ. მშობლების რჩევით ტერელაძე სამტრედიაში განაგრძობს დაოსტატებას, ნიკოლაძე — ქუთაისში, დანარჩენები კი თბილისში გადმოვიდნენ. სულ ახლახან დიდი სიხარული მოგვიტანა თეა ლანჩავამ — მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მოპოვება 14 წლის გოგონებს შორის ადვილი საქმე არ იყო. ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ თეა ნონა გაფრინდაშვილის რეკომენდაციით გადმოიყვანეს ქუთაისიდან თბილისში, გამოიძებნა მწვრთნელი, დაენიშნა სტიპენდია, როგორც ხედავთ, სისტემატურმა ზრუნვამ გამოიღო კიდევაც დადებითი შედეგი. მსოფლიოს პირველობიდან შინ დაბრუნებულ ჩემპიონს, როგორც ეს წესად იქცა, შეხვდა სპორტსახკომის ხელმძღვანელობა. მაშინ ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღინიშნა, რომ ჩვენს გოგონებს შესწევთ უნარი გააღრმავონ და განამტკიცონ ქალთა ქართული საჭადრაკო სკოლის ტრადიციები, სწორედ ისინი უნდა იყვნენ მზად იმისათვის, რომ თვისებრივად ახალ სიმაღლეზე აიყვანონ შემოქმედებითი მოშზადება და ალბათ უნდა მივაღწიოთ იმასაც, რომ ჩვენი გოგონები თამაშობდნენ მამაკაცთა ტურნირებში. 18 წლის ჟუჟა პოლგარმა ხომ სწორედ ასეთ ტურნირებში მოიპოვა საოცარი შედეგები. ნორჩი სპორტსმენებისადმი გამუდმებულ ყურადღებას ისიც ადასტურებს, რომ ისეთ რთულ საკითხს, როგორიცაა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება, სპორტსახკომი განსაკუთრებული მზრუნველობით ეკიდება, წელს თ. ლანჩავას ოჯახსაც გამოუყოფენ ბინას, უკვე გადაწყვეტილია ქ. არახამიას საბინაო პრობლემა, ქ. კახიანის ოჯახსაც მისცემენ ბინას და თბილისში გადმოიყვანენ საცხოვრებლად.

ადრე ასეთ საკითხებზე არ იწერებოდა. დასამალი კი ნამდვილად არაფერია, მას, ვინც იმსახურებს, ვისაც თავისი წვლილი შეაქვს ქართული სპორტის ავტორიტეტის ამაღლებაში, ჩვენი ხალხი აფასებს, ამაგს არ უკარგავს. დიდ სპორტზე ზრუნვა კი ბავშვობიდან იწყება. დიახ, ვინც ტალანტს დროზე ეხმარება, ორმაგად ეხმარება.

# მეორე გუნდური ადგილი და ექვსი პრიზიორი

**გორკი.** ჭაბუკთა II საკავშირო სპორტული თამაშების თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა შეჯიბრებაში საქართველოს ნაკრებმა 214 ქულა დააგროვა და II ადგილი დაიკავა. მასზე უკეთ გამოვიდა ან უფრო ზუსტად მასზე მეტი ქულა დააგროვა რუსეთის ფედერაციის კოლექტივმა (230) და ბუნებრივია პირველი ადგილიც დაისაკუთრა. მესამე საპრიზო ადგილზე უკრაინის ნაკრები გავიდა (201).

ასეთია მოკლედ გუნდური ბრძოლის შედეგები, მაგრამ ციფრებს მიღმა სხვა საინტერესო დეტალების ამოკითხვაც შეიძლება. ჯერ თუნდაც იმით დავიწყოთ, რომ რუსეთის ფედერაცია შეჯიბრებაში ხუთი კოლექტივით იყო წარმოდგენილი (თავად ნაკრები, დაღესტანი, ჩრდილოეთ ოსეთი, ციმბირი და შორეული აღმოსავლეთი, გორკი). ხუთი გუნდი ერთ ტურნირში — ცხადია დიდ ძალას წარმოადგენს. სამი კოლექტივი ჰყავდა უკრაინას (ნაკრები, კიევის ოლქი და ლვოვი), ხოლო საქართველომ მხოლოდ ორი გუნდი გაიყვანა (ნაკრები და თბილისის კოლექტივი). როგორც ხედავთ, ამ შეჯიბრებაში ერთგვარი უპირატესობა ჩვენი მეტოქეების მხარეს იყო.

საქართველოს წარმომადგენლებმა ექვსი მედალი მოიპოვეს (სამი ოქროს, ერთი ვერცხლის და ორი ბრინჯაოსი), რუსეთის ფედერაციამ — ხუთი (ერთი — ოქროს, სამი — ვერცხლის, ერთი — ბრინჯაოს). უკრაინაც, რომელსაც შემადგენლობაში სამი მსოფლიო ჩემპიონი ჰყავდა, ასევე ხუთ მედალს დასჯერდა (სამი ოქროსი და თითო ვერცხლისა და ბრინჯაოსი). პრიზიორთა რაოდენობით ჩვენ მთავარი მეტოქეები უკან ჩამოვიტოვეთ.

მაშ ასე, სამი ჩემპიონი, ერთი მეორე და ორი მესამე ადგილი. ასეთი ნადავლით დაბრუნდნენ შინ საქართველოს მოჭიდავეები.

მაინც ვინ გამოიჩინა თავი? ვისი გამოყოფა შეიძლება საგანგებოდ? პირველ რიგში, ცხადია, გამარჯვებულები უნდა დავასახელოთ.

**გოჩა მაკოევი** (63 კგ). თბილისის 31-ე პროფტექნიკური სასწავლებლის კურსდამთავრებული, „შრომითი რეზერვები" (მწვრთნელები — სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ვანო ნიკოლაძე და ალექსანდრე ავსაჯანიშვილი). ამ მოჭიდავის გამოსვლა ტურნირში სპორტული გმირობის მაგალითად შეიძლება მივიჩნიოთ: მეხუთე წრეში მან საკმაოდ სერიოზული ტრავმა მიიღო და მხოლოდ ექიმების ჩარევის შემდეგ გამოვიდა სარბიელზე. მას საერთოდ შეეძლო შეჯიბრების გაგრძელებაზე უარი ეთქვა, მაგრამ დროებით გაიყუჩა ტკივილები და ორი საპასუხისმგებლო შეხვედრა ისე ჩაატარა. მაკოევმა ორივე ბრძოლა მოიგო, ფინალში უკრაინელი გენადი ვილჩინი დაამარცხა და ოქროს მედალს დაეუფლა.

კარგი მაგალითი, მოგეხსენებათ გადამდებია. გოჩა მაკოევის საქციელმა თანაგუნდელებს გარკვეული რწმენა შემატა და ისინიც პირველიდან ბოლო წუთამდე მთელი ძალით იბრძოდნენ.

**გიორგი ხინჩიკაშვილი** (68 კგ). გორის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის კურსდამთავრებული, ასკ თბილისი (მწვრთნელი — სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ნუგზარ სხიერელი). თავის წონაში ფავორიტად ითვლებოდა და ყველა შეხვედრა ღირსეულად ჩაატარა, მეტოქეები დიდი უპირატესობით დაამარცხა და პირველი ადგილი დაიკავა. განსაკუთრებით დამაჯერებელი იყო მისი გამარჯვება ფინალში ლვოვის გუნდის წევრ სერგეი გიბლოვთან.


ჭაბუკთა თამაშების პრიზიორი — საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრები გუნდი.

ჯემალ კასრაძის ფოტოები.

იხ. მე-4 გვ.

## სპორტი უხმობს მოზარდებს

**ველოსპორტი.** თბილისში კამოს ქუჩაზე მდებარე პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების ბავშვთა და მოზარდთა კომპლექსურ ველოსკოლაში, 1 სექტემბრიდან 30 სექტემბრამდე მიიღებენ 1974-1978 წლებში დაბადებულ ბიჭებსა და გოგონებს.

ბავშვთა მონაცემების შემოწმება ჩატარდება 10-დან 18 საათამდე.

**ფეხბურთი.** საფეხბურთო სკოლა „ავაზა" (დიღმის მასივი) იწვევს 1976-1982 წლებში დაბადებულ მოზარდებს. მიღება ყოველდღე 1 სექტემბრიდან 10-12 საათამდე და 15 და 17 საათამდე.

**ცურვა.** დედაქალაქის პირველი მაისის სასკოლათაშორისო საცურაო აუზზე (დიღმის მასივი) დაიწყო 6-10 წლის მოზარდების მიღება ცურვის შემსწავლელ სააბონემენტო ჯგუფებში (ბავშვთა აუზში).

### ინფორმაცია

**მოსკოვი.** მხატვრულ ტანვარჯიშში საბჭოთა სპორტის ღირსებას ოლიმპიადაზე დაიცავენ 18 წლის მინსკელი მარინა ლობაჩი და 16 წლის კიეველი ალექსანდრა ტიმოშენკო.

# კიდევ ერთი ოლიმპიელი საქართველოდან

ამჟამად სპორტში ყველა გზა სეულისაკენ მიდის. 2 სექტემბერს უკვე ცნობილი გახდება მსოფლიოს ყველა ოლიმპიელის ვინაობა — ამ დღეს იწურება სპორტსმენთა საგანაცხადო სიების წარდგენის ვადა. ბევრი ამ საპატიო სიაში, ადრინდელ ეტაპებზე მოპოვებული წარმატებების შედეგად, საკმაოდ იოლად მოხვდა, ზოგს კი ამისთვის ბოლო დღეებში მოუხდა დიდი ნებისყოფისა და ოსტატობის გამოჩენა.

ამ უკანასკნელთა რიცხვშია 26 წლის ქართველი მოფარიკავე, სპორტის დამსახურებული ოსტატი, რაპირისტი ვლადიმერ აფციაური. მუშკეტერთა ბოლო ორი მნიშვნელოვანი შესარჩევი ტურნირის შემდეგ ნაკრების მწვრთნელებმა იგი ოლიმპიურ გუნდში შეიყვანეს. ვიმედოვნებთ, რომ ამით დაიწყება უაღრესად ნიჭიერი, შესანიშნავი მონაცემებით დაჯილდოებული მოფარიკავის ახალი წარმატებათა სერია.

# თბილისელთა დუეტის გამარჯვება


ვლადიმერ გაბრიჩიძე

**კატოვიცე.** პოლონეთის ამ ქალაქში დამთავრდა ჩოგბურთელთა ტრადიციული ტურნირი. ერთეულთა თანრიგის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ საკავშირო ჩემპიონატის მეორე პრიზიორი, უქგოროდელი იოსებ კროჩკო და რუმინეთის წარმომადგენელი მიხაი ბანცე. დაძაბულ ბრძოლაში გამარჯვება კროჩკომ მოიპოვა — 6:2, 2:6, 6:3.

გაიმართა, აგრეთვე, წყვილთა შეხვედრები. აქ პირველი ადგილი თბილისელებმა ვლადიმერ გაბრიჩიძემ და დავით კაჭარავამ მოიპოვეს.


დავით კაჭარავა

# რეკომენდაცია — გადასცენ ორი „ოქრო"

**ქვეყნის** 55-ე ჩემპიონატი ჭადრაკში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, მაგრამ, სამწუხაროდ, დასკვნით ეტაპზე შეჯიბრების ორგანიზატორებმა აშკარად „მოიკოჭლეს". შეუსრულებელი დარჩა პუნქტი იმის თაობაზე, რომ თუ ორი მონაწილე გაიყოფდა I-II ადგილებს, უძლიერესის ტიტულისთვის მათ შორის დამატებითი მატჩი უნდა გამართულიყო. მისცეს რა ამ შემთხვევას შესაბამისი პრინციპული შეფასება, საკავშირო საჭადრაკო ფედერაციის პრეზიდიუმისა და ჭადრაკის საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა 29 აგვისტოს ერთობლივი კრების მონაწილეებმა გადაწყვიტეს სსრ კავშირის სპორტსახკომის ხელმძღვანელობას გაუწიონ რეკომენდაცია, ოქროს მედლები გადასცენ ორივე გამარჯვებულს — გარი კასპაროვსაც და ანატოლი კარპოვსაც.

საქდესის კორ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაკეთდა „ლელოს" კრიტიკული გამოსვლის შემდეგ — პუბლიკაციის კვალდაკვალ

# სიტყვა საქმედ აქციეს

**ენგურჰესის** მშენებლობაზე, მათ სპორტულ მიღწევებზე არაერთხელ დაწერილა „ლელოს" ფურცლებზე. ამ წლის დასაწყისში გამოვაქვეყნეთ კრიტიკული წერილი „ენგურის მუქჩრდილები", სადაც ლაპარაკი იყო ქალაქ ჯვარზენში და საერთოდ ენგურჰესის მშენებლობაზე, სპორტული კომპლექსის გაჭიანურებული მშენებლობის შესახებ. ადგილობრივმა ხელმძღვანელობამ კრიტიკა სამართლიანად ცნო და საქმიანი, კონკრეტული ღონისძიებების გეგმა შეიმუშავა, რომელიც პირველ სექტემბრამდე ითვალისწინებდა საცურაო აუზის, ადმინისტრაციული სახლის მშენებლობის დამთავრებას, კალათბურთის, ფრენბურთის მოედნების მოწყობას, ტრიბუნების რემონტს და წლის ბოლომდე საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მარტივი ტიპის მოედნების მოწყობას. სათქმელად ადვილია, გაკეთებაც ძნელი. ქვეშეცაბეულად ჩვენს ჰია გვერდნიდა, შეძლებენ კი ასეთ მცირე დროში ფართო მოცულობის სამუშაოების შესრულებას?.. ენგურჰესის მშენებლობის სამმართველოს უფროსის მოადგილე იური გუგუჩია, რომელიც უშუალოდ ხელმძღვანელობდა სპორტკომპლექსის მშენებლობას, გვარწმუნებდა სამუშაოს დროზე დავამთავრებთო. ასეც მოხდა. ენგურჰესის მუშათა პირველი სპარტაკიადის გახსნის დღეს — 20 აგვისტოს დაუკავშირეს მშენებლებმა სპორტკომპლექსის ჩაბარება. რა იქნებოდა ამაზე უფრო დიდი საჩუქარი მუშა-სპორტსმენებისათვის, სპორტის მოყვარულთათვის! სპარტაკიადის მონაწილეებს მიესალმა ენგურჰესის სამმართველოს უფროსი ნ. შარტავა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ნ. აკობია. იური გუგუჩიამ ფასიანი საჩუქრები და სიგელები გადასცა მოწინავე სპორტულ კოლექტივებსა და სპორტსმენებს. იმ დღესვე გაიმართა შეჯიბრებები ფეხბურთში, ფრენბურთში, კალათბურთში, აგრეთვე ესტაფეტა 4X100 მეტრზე როგორც ქალებს, ისე მამაკაცებს შორის.

— „ლელოს" კრიტიკა სამართლიანი იყო—თქვა ნოდარ შარტავამ.—მან დიდი ბიძგი მოგვცა. ბოლოს და ბოლოს ჩვენს სახელოვან მუშებს ხომ უნდა ჰქონდეთ ერთი ხეირიანი სპორტული კომპლექსი. ახლა აქ სპორტის ნებისმიერ სახეობაში შეიძლება ვარჯიში. ადმინისტრაციულ სახლს მწვრთნელთა და ექიმთა ოთახები, საშხაპეები, გასახდელები, ჭადრაკის და ჭიდაობის დარბაზები აქვს. ახლა შესაძლებელია ფასიანი ჯგუფებიც გაიხსნას. ყველაფერი, რაც გაკეთდა, ძველი პროექტით იყო გათვალისწინებული და მისი შეცვლა არ შეგვეძლო. მომავალში კი გათვალისწინებული გვაქვს საცურაო აუზის გადახურვა და კორტების მოწყობა. წლის ბოლომდე დავამთავრებთ ხუთი მარტივი ტიპის მოედნის მშენებლობას, ხუდონჰესის მშენებელთათვის სოფელ ციცხვარში გავაკეთეთ კომბინირებული მოედანი, ასეთივეს ვაშენებთ სოფელ ჭუბერში. სპორტი ყველასათვის ძვირფასია, ალბათ ეს იყო იმის მიზეზი, რომ დიდი თუ პატარა მხარში ამოგვიდგა და სამუშაოების დასრულება დათქმულ დროზე ადრე შეგვაძლებინა. ძირითადი სამუშაო სამოქალაქო მშენებლობის სამმართველომ შეასრულა. მისი უფროსი ოთარ ომიანიძე სპორტული ობიექტების მშენებლობაში გამოცდილი კაცია, სხვა რომ არა, თბილისის „დინამოს" სტადიონი უშენებია. მას მხარში ედგნენ მიწისქვეშა ნაგებობათა სამმართველო (უფროსი მოველი ჭაავა), ჰიდროსპეცმშენის სამმართველო (უფროსი ალფრედ კოვალენკო) და სხვა. ბევრმა ახალგაზრდამ პირადი ინიციატივით იმუშავა. ჩვენ კვლავაც გავაგრძელებთ სპორტულ ბაზების კეთილმოწყობაზე ზრუნვას.

ამჟამად ახალ სპორტულ კომპლექსში სპორტული ზეიმია, მიმდინარეობს მუშათა სპარტაკიადა, რომელიც ოქტომბრამდე გასტანს. ყოველ შაბათ-კვირას და ოთხშაბათს სამუშაო საათების შემდეგ სპორტის 12 სახეობაში გაიმართება შეჯიბრებები და მუშა-სპორტსმენები თავიანთ შესაძლებლობებს მაქსიმალურად გამოავლენენ.

**ნუგზარ ჟვანია,**
**„ლელოს" საკ. კორ.**
ქ. ჯვარზენი.





გაკეთდება „ლელოს" კრიტიკული გამოსვლის შემდეგ

ვუბრუნდებით დაბეჭდილს

## „სკოლას არდადეგები, კორტებს?.."

11 აგვისტოს „ლელოში" გამოქვეყნებული კრიტიკული წერილის „სკოლას არდადეგები, კორტებს?"... პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

წერილში აღძრული საკითხები 19 აგვისტოს განხილულ იქნა თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს საბჭოს სხდომაზე, ჩოგბურთის სასპორტო სკოლაში გამოვლენილი უხეში დარღვევებისა და ზაფხულის პერიოდში კიროვის პარკში მდებარე ჩოგბურთის კორტების მუშაობაზე უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისათვის ჩოგბურთის სპორტული სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს მ. ვეკუას გამოეცხადა სასტიკი საყვედური.

ამასთან ერთად, გაცნობებთ, რომ აღნიშნული კორტების კეთილმოწყობა (ტუალეტები, გასახდელები, საშხაპე) გათვალისწინებულია მიმდინარე წლის ოქტომბერში, რის შემდეგაც კორტებზე ჩამოყალიბდება მოსახლეობას შორის ფასიანი მომსახურების ჯგუფები.

**ვ. ჩიფჩიური,**
**სამმართველოს უფროსის მოადგილე.**

მკითხველთა ფოსტიდან

## პატივი ვცეთ მშობლიურ ანბანს

30 ივლისს გაზეთ „ლელოში" დაიბეჭდა სტუდენტ როინ მიგრიაულის წერილი სათაურით „რატომ გვრჩება ყურადღებიდან?", სადაც სამართლიანი საყვედურია გამოთქმული იმ უყურადღებობის გამო, რომელსაც ვიჩენთ ფეხბურთელთა მაისურებზე ეროვნული სიმბოლოს ან გუნდის სახელწოდების ქართულად გამოსახვისადმი.

ქართული ენის სიწმინდის დაცვის მრავალ პრობლემასთან ერთად ამ საკითხს ეხება აგრეთვე ამირან კალაძე სტატიაში „რა ენა წახდეს" (კრიტიკა №2, 1988, გვ. 159-160): „თუმცა ამჯერადაც ის საკითხი დავაყენოთ, რისი გადაწყვეტაც, როგორც იტყვიან, საკუთარი ძალებით შეგვიძლია. ათეული წლების მანძილზე თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელებს მაისურებზე აწერიათ ასო — „Д". რატომ? ნუთუ არ შეიძლება იგივე ასო ქართულად ეწეროს? თუ ვინმე ამ შეცდომის გასამართლებლად მაინც და მაინც „საკავშირო კლუბისა" და „საკავშირო ჩემპიონატის" ცნებებს დაიჩემებს, არც ეს იქნება სწორი. ვის არ უნახავს „ქალგირისის" კალათბურთელთა და ფეხბურთელთა სახელგანთქმული გუნდები, ისინიც ხომ საკავშირო ჩემპიონატებში გამოდიან. ის კი არადა, მსოფლიოს სხვადასხვა გუნდებთანაც უწევთ შეხვედრა, მაგრამ ენის პატივისცემა არც მაისურებზე ავიწყდებათ.

თუ თბილისის „დინამოს" ეს ძველმოდური სახელი არ შეეცვლება, რაც ქვია, ის მაინც დავწეროთ მშობლიურ ენაზე, როგორც, მაგალითად, ლანჩხუთის „გურიის" ფეხბურთელებს ეწერათ თავიანთ მაისურებზე უმაღლეს ლიგაში გადასვლამდე.

თბილისის დინამოელები თავიანთი აღმავლობის წლებში (1976-1981) კალენდარულ მატჩებს ხშირად უწარწერო მაისურებით ატარებდნენ, მაგრამ დახეთ საკვირველებას! 1982 წლის ჩემპიონატის ერთ-ერთი კალენდარული მატჩი მოსკოვის „ტორპედოს" ფეხბურთელებმა ლათინურწარწერებიანი მაისურებით ჩაატარეს, რის გამოც საკავშირო სპორტულ-ტექნიკურმა კომისიამ მკაცრად დასაჯა გუნდი და მისი მთავარი მწვრთნელი ვ. ივანოვი (სტკ-ის ეს გადაწყვეტილება გამოქვეყნდა როგორც „სოვეტსკი სპორტში", ისე „ლელოში"), მომდევნო კალენდარულ მატჩში კი თბილისის დინამოელები ისევ „ტრადიციული" ფორმით გამოვიდნენ და დღესაც ასე თამაშობენ. საკვირველია, რომ თბილისის „დინამო" ნახევარ საუკუნეზე მეტია გვერდს უვლის ქართულ ანბანს, მაგრამ პასუხს არავინ სთხოვს.

პატივცემულო რედაქცია! გთხოვთ გამოაქვეყნოთ ეს წერილი და მიმართოთ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას, რათა განიხილოს და გადაჭრას ეს საკითხი.

**გურამ ჩიქოვანი,**
**არქეოლოგიური კვლევის ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელი.**

## მოსაწონი და მხარდასაჭერია

**აქ იმდენი რამ არის სანახავი, არც კი ვიცით, რით დავიწყოთ — ამბობდნენ ამასწინათ მოსკოვში, კრილატსკოეში გამართული სპორტული თამაშების ფესტივალის სტუმრები.**

ფესტივალის ორგანიზატორებმა — კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა, პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების საკავშირო საბჭომ, დოსააფის ცენტრალურმა კომიტეტმა და სახელმწიფო კულტურულმა ცენტრმა „ორიონმა" — მართლაც ძალზე საინტერესო და მრავალფეროვანი პროგრამა შესთავაზეს მოსკოველებს და დედაქალაქის სტუმრებს.

ხალხმრავლობა და ხალისიანი ჟრიამული გამოარჩევდა ბავშვებისა და მოზარდებისთვის განკუთვნილ მოედნებს. პატარები მრავალნაირი ატრაქციონითა და პედიკარებზე (ეს ველოსიპედისა და ავტომობილის „სინთეზი" გახლავთ) სეირნობით ირთობდნენ თავს, მოზრდილები კი სკეითბორდით დასრიალებდნენ.

სკეითბორდის ტრასის გვერდით ნოვოსიბირსკის 102-ე საშუალო სკოლის მოსწავლეები შეკრებილიყვნენ და მაყურებლებს ჩინური ტანვარჯიშის უ-შუს ილეთებს უჩვენებდნენ.

ჭადრაკის მოყვარულებს საყვედური ნამდვილად არ ეთქმოდათ — მათ სპორტის ოსტატი ვ. კრაიუშკინი იწვევდა ერთდროული თამაშის სეანსზე. მაგრამ ხალხი უფრო იმ მაგიდებს ეტანებოდა, რომელთაც ამშვენებდა წარწერა „გო". ამ თამაშის თაყვანისმცემლების გვერდით იხილავდით სხვა ლოგიკური სპორტული თამაშების (ორტოგონალურ-დიაგონალური და დიაგონალური შაში) მოყვარულებსაც.

ბეისბოლს — ჩვენს ქვეყანაში ახლახან დანერგილ ამ სახეობას კი საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდის — მოსკოვის დ. მენდელეევის სახელობის ქიმიური ტექნოლოგიის ინსტიტუტის ბეისბოლისტები წარმოადგენდნენ და მსურველებს სათამაშოდაც იწვევდნენ.

ერთი სიტყვით, ასეთი ფესტივალის მოწყობის იდეა ნამდვილად მოსაწონი და მხარდასაჭერია. ცხადია, ამგვარი ღონისძიებები აუცილებლად უნდა მოეწყოს სხვაგანაც, ოღონდ, სასურველია, ორგანიზატორებმა პროგრამაც გაამრავალფეროვნონ და რეკლამაზეც იფიქრონ — ფესტივალი ხომ სპორტის პოპულარიზაციას ემსახურება, გონივრული გარჯისა და სათანადო მოსამზადებელი სამუშაოს გარეშე კი მიზნის მიღწევა ძალიან გაჭირდება.

ზაფხული-88

## „ცისკარში" საჭიდაოც გაისმა

**ზაფხულობით** ცხვარიჭამიას მიდამოებში 20 პიონერული ბანაკი იყრის თავს, რომელსაც საერთო სახელი — „ცისკარი" ამშვენებს. მათ შორის ერთ-ერთი „სპარტაკის" სახელს ატარებს და იგი პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების თბილისის ბავშვთა და მოზარდთა ჭიდაობის სპორტსკოლის აღსაზრდელთა საუფლოდ იქცევა ხოლმე წელიწადის ამ დროს. სწორედ სპარტაკელებმა ითავეს ფიზკულტურელის საკავშირო დღისადმი მიძღვნილ „ცისკრის" ღია პირველობის ჩატარება ქართულ ჭიდაობაში. ამისათვის საგანგებოდ ჩაიყვანეს ტოკლიკიშვილის ცნობილი დასტა და ომახიანმა საჭიდაომ ნორჩები საბრძოლველად იხმო.

შეჯიბრება, რომელშიც 120 ნორჩი სპორტსმენი გამოდიოდა, ორ დღეს გაგრძელდა და მეტად საინტერესო ორთაბრძოლებით აღინიშნა. მან უამრავი მაყურებელი მიიზიდა ახლო სოფლებიდან.

მოკლედ

## კარგი შენაძენი

**ჩოხატაურის** რაიონის სოფელ კოხნარს სპორტული მოედნები არ ჰქონდა. სასოფლო საბჭოსა და კოლმეურნეობის ხელმძღვანელებმა გამოყვეს ადგილი საფეხბურთო სარბიელისათვის. იგი შეიღობა, გაიწმინდა ქვა-ღორღისა და სხვა სახის ნარჩენებისაგან, კეთილმოეწყო და ფიზკულტურელის დღეს საზეიმოდ გაიხსნა. ახლა აქ სისტემატურად იმართება როგორც საარაიონო, ისე სასოფლო შეჯიბრებები.

**დავით ბურბენიძე,**
**„ლელოს" კორ.**

# იწყება ძნელი, ხანგრძლივი შეჯიბრება

**ევროპის** ჩემპიონატი ფეხბურთში, რომელიც ამ ზაფხულს გფრ-ში გაიმართა, ჯერ კიდევ არ დავიწყებია თავისი დაძაბული შეხვედრებით, თამაშის მაღალი კლასით, ფეხბურთელთა შესანიშნავი ოსტატობით. უდავოდ, ეს იყო ბოლო წლების ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო, დიდი შეჯიბრება, მაგრამ ჯერ კიდევ არ მიმწყდარა ევროპის ჩემპიონატის ექო და დღის წესრიგში დადგა ახალი, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი და მასშტაბური ასპარეზობა — მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში.

ამ უდიდესი შეჯიბრების საკლასიფიკაციო ციკლი, რომელშიც, როგორც ცნობილია, საბჭოთა გუნდიც მონაწილეობს, უკვე დაიწყო. ჩვენი ნაკრების შემადგენლობაში ევროპის ჩემპიონატთან შედარებით გარკვეული ცვლილებები მოხდა, ისლანდიელებთან სასტარტო მატჩში, რომელიც დღეს შედგება რეიკიავიკში, საბჭოთა ნაკრებს ავადმყოფობის გამო თან არ ახლავს მთავარი მწვრთნელი ვ. ლობანოვსკი. გუნდის შემადგენლობაში არ არიან თ. სულაქველიძე და ვ. პასულკო, მაგრამ მიიწვიეს ახალი ფეხბურთელები: ა. ზიგმანტოვიჩი („დინამო", მინსკი), ს. როდიონოვი („სპარტაკი", მოსკოვი) და ი. დობროვოლსკი („დინამო", მოსკოვი).

საბჭოთა ფეხბურთელები საკმაო ხანია მონაწილეობენ მსოფლიო ჩემპიონატებში, მაგრამ ამ დიდი და საინტერესო შეჯიბრების ყოველი ახალი გათამაშება ახალ, სერიოზულ ამოცანებს სახავს გუნდის წინაშე. სსრ კავშირის ნაკრებმა სულ ახლახან ევროპის ჩემპიონატზე ფრიად საპატიო მეორე ადგილი დაიკავა, დიდ ასპარეზზე ცხადყო თავისი მაღალი კლასი, ცალკეულმა ფეხბურთელებმა ისეთი ოსტატობა გამოავლინეს, რომ უცხოეთის პროფესიული საფეხბურთო კლუბები მათს საფასურად მილიონობით დოლარს არ იშურებენ. ამიტომაც სსრ კავშირის ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატშიც უნდა დაამტკიცოს, რომ მისი დიდი წარმატება საკონტინენტო პირველობაზე შემთხვევითი არ ყოფილა, რომ ჩვენი ქვეყნის ნაკრები ღირსეულად იმყოფება ფავორიტთა რიგებში.

დღევანდელი ჩვენი მეტოქე — ისლანდიის ნაკრები საერთაშორისო ელიტას არ მიეკუთვნება, მაგრამ ისევე, როგორც ყველა სხვა გუნდი, საკუთარ მინდორზე ძლიერ ძალას წარმოადგენს. საინტერესოა, რომ, როცა მსოფლიო ჩემპიონატის წილისყრა მოეწყო ციურიხში, ისლანდიის ნაკრების მწვრთნელმა ზ. ჰელდმა, რომელიც წარსულ წლებში გფრ-ის ნაკრების ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელი გახლდათ, ჟურნალისტებს განუცხადა: „ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ თამაშებში ჩვენმა გუნდმა შეძლო თითო ქულა აეღო ისეთი სიძლიერის მეტოქეებისგან, როგორიც სსრ კავშირისა და საფრანგეთის გუნდები არიან, ხოლო ნორვეგიელებს ვძლიეთ კიდეც, და, ვგონებ, ეს არ იყო მისი ბოლო სიტყვა. ჩვენი შესარჩევი ჯგუფი ძალზე ძნელია, სსრ კავშირისა და გდრ-ის გუნდების ნაცვლად გვერჩივნა სხვა მეტოქეები გვყოლოდა, მაგრამ წილისყრას წინ ვინ დაუდგება, სრული შესაძლებლობით უნდა ვითამაშოთ მათთანაც, ვინც ბედმა წილად გვარგუნა".

მართლაც, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი რეიკიავიკში 1986 წლის 24 სექტემბერს ჩვენმა გუნდმა ისლანდიელებთან ფრედ დაამთავრა — 1:1. ამიტომაც 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ გათამაშებაში მონაწილეობის გასანაღდებლად [illegible] სერიოზულობით უნდა [illegible] ყველა მეტოქეს, მათ შორის ისლანდიასაც.

ჰყავს თუ არა ისლანდიის ნაკრებს მოთამაშეები, რომლებიც მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენენ საერთაშორისო ფეხბურთში. [illegible]თად, პირველ ყოვლისა, შეიძლება დავასახელოთ ა. გუდიონსონი, რომელიც ახლა ბელგიის ცნობილ „ანდერლეხტში" გამოდის და ამ კლუბის ყველაზე შედეგიანი ფორვარდია. ისლანდიელმა ჟურნალისტებმა ა. გუდიონსონი თავიანთი ქვეყნის 1987 წლის საუკეთესო სპორტსმენად დაასახელეს. ისლანდიის საუკეთესო ფეხბურთელად მიიჩნიეს 29 წლის პ. ორსლევი, რომელიც რეიკიავიკის „ფრამში" გამოდის. ეს არის საოცრად გამძლე, ენერგიული და მაღალტექნიკური ნახევარმცველი. ამ ქვეყნის ნაკრებში გამოდიან, აგრეთვე, ცნობილი ოსტატები სიგურდსონი, ევალდსონი, ტორდარსონი, გუდმუნდსონი და სხვები.

ისლანდიისა და სსრ კავშირის გუნდების მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩს საკავშირო ტელევიზია I პროგრამით დღეს გადასცემს 23 საათსა და 10 წუთიდან თბილისის დროით.







# მსოფლიოს XIV ჩემპიონატი ფეხბურთში

**1990 წლის** მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში უკვე დაიწყო. წინასწარ საკვალიფიკაციო ჯგუფებში გაიმართა რამდენიმე შეხვედრა, რომელთა შედეგებს გაგაცნობთ, მაგრამ მანამდე შეგახსენებთ წინასწარი ჯგუფების შემადგენლობებს.

მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში, რომლის შეხვედრები იტალიის ქალაქებში გაიმართება, მონაწილეობას მიიღებს 24 გუნდი. ახლანდელი მსოფლიო ჩემპიონი — არგენტინის ნაკრები და გათამაშების მასპინძლები — იტალიელები ფინალში უშუალოდ დაიშვებიან, დანარჩენი 22 ვაკანტური ადგილისთვის კი გაიმართება ბრძოლა კონტინენტების შესარჩევ ჯგუფებში.

**ევროპას** მიკუთვნებული აქვს 13 ადგილი, შექმნილია 7 საკვალიფიკაციო ჯგუფი:

**პირველი** — დანია, ბულგარეთი, რუმინეთი, საბერძნეთი.

**მეორე** — ინგლისი, პოლონეთი, შვეცია, ალბანეთი.

**მესამე** — სსრ კავშირი, გდრ, ავსტრია, ისლანდია, თურქეთი.

**მეოთხე** — გფრ, ჰოლანდია, უელსი, ფინეთი.

**მეხუთე ჯგუფი.** საფრანგეთი, შოტლანდია, იუგოსლავია, ნორვეგია, კვიპროსი.

**მეექვსე ჯგუფი.** ესპანეთი, უნგრეთი, ჩრდილოეთ ირლანდია, ირლანდია, მალტა.

**მეშვიდე ჯგუფი.** ბელგია, პორტუგალია, ჩეხოსლოვაკია, შვეიცარია, ლუქსემბურგი.

**შენიშვნა:** მესამე, მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე ჯგუფებში 5-5 ნაკრები გამოდის, ამიტომაც ფინალში ამ ჯგუფებიდან 2-2 საუკეთესო გუნდი გავა. რაც შეეხება პირველ, მეორე და მეოთხე ჯგუფებს, ფინალში უშუალოდ გავლენ გამარჯვებულები, ხოლო ფინალის დანარჩენი ორი საგზური მიეკუთვნება გუნდებს, რომლებსაც უკეთესი მაჩვენებლები ექნებათ მეორე ადგილებზე გასულ გუნდებს შორის.

გამარჯვებულთა განსაზღვრა ხდება დაგროვილი ქულებით, ხოლო ქულათა თანაფარდობის შემთხვევაში — გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობით. თუ ეს მაჩვენებელიც ერთნაირია — მეტი გატანილი ბურთების მიხედვით. შესაძლოა ეს მაჩვენებელიც ერთნაირი აღმოჩნდეს, მაშინ პრეტენდენტები ერთმანეთს შეხვდებიან ნეიტრალურ მინდორზე.

**სამხრეთ ამერიკა.** 2 ან 3 ადგილი.

**პირველი ჯგუფი** — ურუგვაი, პერუ, ბოლივია.

**მეორე** — პარაგვაი, კოლუმბია, ეკვადორი.

**მესამე** — ბრაზილია, ჩილი, ვენესუელა.

პირველი და მესამე ჯგუფების გამარჯვებულნი უშუალოდ გადიან ფინალურ ტურნირში. რაც შეეხება მეორე ჯგუფის გამარჯვებულს, ფინალის საგზურის მოსაპოვებლად იგი ორ მატჩში უნდა შეხვდეს ოკეანიის ზონის საუკეთესო გუნდს (ამ ზონაში ჩართულია ისრაელიც).

**ჩრდილოეთ, ცენტრალური ამერიკის ქვეყნები და კარიბის აუზის ზონა.** 2 ადგილი.

**პირველი ჯგუფი.** ანტიგუა და ბარბუდა — ანტილის კუნძულები. ამ წყვილის გამარჯვებული შეხვდება სალვადორის გუნდს.

იამაიკა — პუერტო-რიკო. გამარჯვებული შეხვდება ამერიკის შეერთებული შტატების გუნდს.

ტრინიდადი და ტობაგო — გაიანა. გამარჯვებული შეხვდება ჰონდურასის გუნდს.

**მეორე** — კოსტა-რიკა — პანამა. გვატემალა — კუბა. გამარჯვებული შეხვდება კანადის გუნდს.

დასკვნით ეტაპზე გამარჯვებული გუნდები ორწრიან ტურნირში იბრძოლებენ ფინალის 2 საგზურისთვის.

**აფრიკა.** 2 ადგილი.

გათამაშების პირველ წრეში თავისუფალი არიან ალჟირი, კამერუნი, ეგვიპტე, მაროკო, კოტ დივუარი, კენია, ნიგერია, ზაირი.

**პირველი ჯგუფი.** ანგოლა — სუდანი, ლესოტო — ზიმბაბვე, რუანდა — ზამბია, უგანდა — მალავი.

**მეორე** — ლიბია — ბურკინა ფასო, განა — ლიბერია, ტუნისი — გვინეა, ტოგო — გაბონი.

მეორე ეტაპზე გამარჯვებულთა შორის ჩატარდება კიდევ 2 ტურის მატჩები რთული მრავალსაფეხურიანი სისტემით.

**აზია.** 2 ადგილი.

**დასავლეთ აზიის ზონა**

**პირველი ჯგუფი.** ერაყი, კატარი, იორდანია, ომანი.

**მეორე** — საუდის არაბეთი, სირია, ბახრეინი, იემენის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა.

**მესამე** — კუვეიტი, არაბეთის გაერთიანებული ემირატები, პაკისტანი, იემენის არაბეთის რესპუბლიკა.

**აღმოსავლეთი აზიის ზონა**

**მეოთხე ჯგუფი.** სამხრეთ კორეა, სინგაპური, მალაიზია, ინდოეთი.

**მეხუთე ჯგუფი.** ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, ირანი, ტაილანდი, ბანგლადეში, ნეპალი.

**მეექვსე ჯგუფი.** კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა, იაპონია, ინდონეზია, გონკონგი.

ჯგუფებში გამარჯვებული გუნდები გათამაშების მეორე ეტაპზე გამართავენ ფინალურ თამაშებს წრიული სისტემით, სადაც გაირკვევა ფინალის 2 მონაწილე.

**ოკეანია.** 1 ადგილი.

**პირველი ჯგუფი.** ახალი ზელანდია— ტაივანი.

**მეორე** — ავსტრალია — ფიჯი.

ჯგუფებში გამარჯვებულები, აგრეთვე, ისრაელის გუნდი შემდგომში ორწრიან ტურნირში შეხვდებიან ერთმანეთს. აქ გამარჯვებული გუნდი შემდეგ ფინალის საგზურისთვის შეხვდება სამხრეთ ამერიკის ზონის მეორე ჯგუფის გამარჯვებულს.

გთავაზობთ III ჯგუფის კალენდარს, სადაც საბჭოთა ფეხბურთელები გამოდიან.

**1988 წელი**

**31.VIII. ისლანდია — სსრ კავშირი**
12.X. თურქეთი — ისლანდია
**12.X. სსრ კავშირი — ავსტრია**
19.X. გდრ — ისლანდია
2.XI. ავსტრია — თურქეთი
30.XI. თურქეთი — გდრ

**1989 წელი**

12.IV. გდრ — თურქეთი
**26.IV. სსრ კავშირი — გდრ**
**10.V. თურქეთი — სსრ კავშირი**
17.V. გდრ — ავსტრია
**31.V. სსრ კავშირი — ისლანდია**
14.VI. ისლანდია — ავსტრია
23.VIII. ავსტრია — ისლანდია
**6.IX. ავსტრია — სსრ კავშირი**
6.IX. ისლანდია — გდრ
20.IX. ისლანდია — თურქეთი
**7 ან 8.X. გდრ — სსრ კავშირი**
25.X. თურქეთი — ავსტრია
**8.XI. სსრ კავშირი — თურქეთი**
15.XI. ავსტრია — გდრ

**შენიშვნა:** გდრ —ავსტრიისა და თურქეთ — სსრ კავშირის შეხვედრებში შესაძლოა თარიღები გადაიტანონ.

მსოფლიოს XIV ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი მაისში გაიმართა ჩრდილოეთ ირლანდიისა და მალტის გუნდებს შორის. ჩრდილოეთირლანდიელმა ფეხბურთელებმა ბელფასტში ანგარიშით 3:0 მიაღწიეს გამარჯვებას. მაგრამ მანამდე, 17 აპრილს, განის ფეხბურთელები შეხვდნენ ტრინიდადისა და ტობაგოს ეროვნულ გუნდს. ტრინიდადისა და ტობაგოს ნაკრებმა გაიმარჯვა ანგარიშით 1:0.

სხვა გუნდების შეხვედრათა შედეგები ასეთია: კუბა — გვატემალა 0:1, გვატემალა — კუბა 1:1, იამაიკა — პუერტო-რიკო 1:0, პუერტო-რიკო — იამაიკა — 1:2, კოსტა-რიკა — პანამა 1:1.

იამაიკელი ფეხბურთელები უკვე გავიდნენ მეორე ეტაპზე და ამერიკის შეერთებული შტატების გუნდთან შინ ფრედ ითამაშეს 0:0.

აფრიკის ზონაში ლესოტოს ფეხბურთელებმა უარი თქვეს ზიმბაბვეს გუნდთან თამაშზე, შეჯიბრებაში მონაწილეობაზე უარი განაცხადა რუანდის გუნდმაც (ზამბიასთან), შეჯიბრებას გამოეთიშა ტოგოც და მეორე ეტაპზე გავიდა გაბონის გუნდი. ლიბიის ფეხბურთელებმა 2 მატჩში ბურკინა ფასოს გუნდთან მიაღწიეს წარმატებას (3:0 და 2:0), უგანდისა და მალავის გუნდების პირველი მატჩი დამთავრდა უგანდელთა გამარჯვებით — 1:0.

# სსრ კავშირის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატებში

● **31 აგვისტოს** სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები მეცხრედ მიიღებს მონაწილეობას მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში. აქედან იგი ექვსჯერ (1958, 1962, 1966, 1970, 1982, 1986 წლებში) მონაწილეობდა ფინალურ ტურნირებში, 1974, 1978 წლებში კი შესარჩევი მატჩების შემდეგ გამოეთიშა გათამაშებას.

● **ახალი** შესარჩევი ციკლის დაწყებამდე საბჭოთა ნაკრებმა ჩაატარა სულ 72 მატჩი (45 მოგება, 12 ფრე, 15 წაგება, გატანილი და მიღებული ბურთები 148:58), აქედან 28 — ფინალურ ტურნირებში (+14=6-8, 49:30), ხოლო 44 — შესარჩევ მატჩებში (+31=6-7, 99:28).

● **72 მატჩიდან** 36-ში საბჭოთა ნაკრების კარში მეტოქეებმა ვერ შეძლეს ბურთის გატანა, 16 შეხვედრაში აღინიშნა დიდი ანგარიშით გამარჯვება (3 და მეტი ბურთის სხვაობით). ასეთი ანგარიშით საბჭოთა ნაკრები ჯერ არ დამარცხებულა.

● **პირველი** მატჩი მსოფლიო ჩემპიონატის ეგიდით ჩვენმა ნაკრებმა 1957 წელს გამართა მოსკოვში, პოლონეთის ნაკრებთან და გაიმარჯვა ანგარიშით 3:0. ამ მატჩში მოსკოველმა მ. ტატუშინმა პირველი გოლი გაიტანა მსოფლიო ჩემპიონატებში.

● **1957** წელს ფინეთის გუნდთან აღინიშნა ყველაზე დიდი ანგარიშით გამარჯვება — 10:0.

● **მსოფლიო** ჩემპიონატების რეგლამენტით ო. ბლოხინს ჩატარებული აქვს 25 მატჩი. ეს რეკორდია! აქედან 7 მატჩი — ფინალურ ტურნირებში. რ. დასაევს — 24 (8) მატჩი, ლ. იაშინს — 20 (13), ვ. ვორონინს — 19 (9), ა. დემიანენკოს — 19 (8), შესტერნიოვს — 19 (9), ვ. ივანოვს — 17 (9), ა. ჩივაძეს — 16 (5), მ. ხურცილავას — 15 (6).

● **საბჭოთა** ნაკრების საუკეთესო ბომბარდირებია ვ. ივანოვი — 9 ბურთი (5 — ფინალურ მატჩებში), ო. ბლოხინი — 8 (2), ს. მეტრეველი — 6 (1), ა. ბიშოვეცი 5 (4), ა. ილინი 5 (2), რ. შენგელია 5 (1), ო. პროტასოვი 5 (0).

● **ფინალურ** ტურნირებში საუკეთესო მაჩვენებელი აქვთ: ვ. ივანოვს (1962), ვ. პარკუიანს (1966), ა. ბიშოვეცს (1970), ი. ბელანოვს (1986) — 4-4 გატანილი ბურთი.

● **საბჭოთა** გუნდიდან ერთ თამაშში 3 ბურთი გაიტანეს: ნ. სიმონიანმა 1957 წელს ფინეთის გუნდთან (შესარჩევი ტურნირი), ა. ბანიშევსკიმ 1965 წელს საბერძნეთის გუნდთან (შესარჩევი ტურნირი), ი. ბელანოვმა 1986 წელს ბელგიის ნაკრებთან (ფინალური ტურნირი).

● **591** წუთი გაძლო საბჭოთა ნაკრების მეკარემ რ. დასაევმა ისე, რომ საკუთარ კარში ბურთი არ გაუშვია. ეს რეკორდია.

● **და, ბოლოს,** კაპიტნების შესახებ: 13-ჯერ გამოიყვანა ა. შესტერნიოვმა საბჭოთა გუნდი კაპიტნის სამკლაურით, 12-ჯერ — ი. ნეტომ, 11-ჯერ — ა. ჩივაძემ.

**პაატა ცაგარეიშვილი,**
**სტატისტიკოსი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

### I ლიგა

**29 აგვისტოს** გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების 29-ე ტურის მატჩები: „ზვეზდა“ (პერმი) — „როტორი“ (ვოლგოგრადი) 0:2, „გეოლოგი“ (ტიუმენი) — ასკ (დონის როსტოვი) 1:4, ცსკა — „დაუგავა“ (რიგა) 4:0, „კუზბასი“ (კემეროვო) — ასკ „კარპატი“ (ლვოვი) 0:0, „დინამო“ (სტავროპოლი) — „კოტაიკი“ (აბოვიანი) 2:1, „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) — „ყუბანი“ (კრასნოდარი) 0:1, „შინიკი“ (იაროსლავლი) — „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) 1:0, „ტავრია“ (სიმფეროპოლი) — „პამირი“ (დუშანბე) 2:0, „ზარია“ (ვოროშილოვგრადი) — „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) 0:1, „როსტსელმაში“ (დონის როსტოვი) — „კოლოსი“ (ნიკოპოლი) 2:0.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 31 აგვისტოსთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „პამირი“ | 28 | 17 | 8 | 3 | 51-25 | 42 |
| ცსკა | 28 | 14 | 8 | 6 | 41-20 | 36 |
| „დინ.“ სტ. | 28 | 14 | 7 | 7 | 40-27 | 35 |
| „როტორი“ | 27 | 15 | 3 | 9 | 46-26 | 33 |
| „გურია“ | 27 | 14 | 4 | 9 | 41-29 | 32 |
| „ფახთაქ.“ | 28 | 12 | 8 | 8 | 35-26 | 32 |
| „როსტსელ.“ | 27 | 12 | 6 | 9 | 40-37 | 30 |
| ასკ რ. | 27 | 12 | 6 | 9 | 37-36 | 30 |
| „გეოლოგი“ | 28 | 12 | 4 | 12 | 34-39 | 28 |
| ასკ „კარპ.“ | 27 | 11 | 6 | 10 | 37-23 | 28 |
| „დაუგავა“ | 27 | 11 | 6 | 10 | 38-34 | 28 |
| „ტავრია“ | 28 | 9 | 10 | 9 | 26-24 | 28 |
| „შინიკი“ | 28 | 10 | 7 | 11 | 30-31 | 27 |
| „სპარტაკი“ | 28 | 10 | 5 | 13 | 40-44 | 25 |
| „კოტაიკი“ | 28 | 10 | 5 | 13 | 36-55 | 25 |
| „მეტალურ.“ | 28 | 9 | 6 | 13 | 21-31 | 24 |
| „კუზბასი“ | 28 | 6 | 12 | 10 | 19-28 | 24 |
| „დინ.“ ბ. | 27 | 10 | 3 | 14 | 24-31 | 23 |
| „ყუბანი“ | 28 | 8 | 5 | 15 | 25-41 | 21 |
| „ზარია“ | 27 | 7 | 7 | 13 | 32-37 | 21 |
| „კოლოსი“ | 28 | 6 | 6 | 16 | 20-39 | 18 |
| „ზვეზდა“ | 28 | 5 | 8 | 15 | 23-53 | 18 |

## ფედერაციის თასზე

**ხარკოვში** შედგა სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თასის მეოთხედფინალური მატჩი ადგილობრივ „მეტალისტსა“ და მოსკოვის „დინამოს“ შორის. თამაში დამთავრდა დინამოელთა გამარჯვებით — 1:0.

ამრიგად, გამოვლინდა თასის გათამაშების ოთხივე ნახევარფინალისტი: „ნეფთჩი“, „კაირატი“, „სპარტაკი“, „დინამო“ (მოსკოვი). ნახევარფინალური შეხვედრები გაიმართება 16 და 17 ოქტომბერს, ხოლო ფინალური მატჩი შედგება საკავშირო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ, 27 ნოემბერს.

ნახევარფინალში მეტოქეები ასე დაწყვილდნენ: „სპარტაკი“ — „ნეფთჩი“, „კაირატი“ — „დინამო“ (მოსკოვი). გუშინ გაიმართა წილისყრა, სადაც დადგინდა მასპინძელი გუნდების ვინაობა.

## გათამაშებას გამოეთიშნენ

**ესტონეთის** ქალაქ კოხტლა-იარვეში დამთავრდა „იმედის თასის“ საკავშირო ნახევარფინალური გათამაშება ფეხბურთში.

საქართველოს ფეხბურთელებმა ბოლოსწინა ტურში ანგარიშით 4:0 დაამარცხეს თურქმენეთის ნაკრები, მაგრამ ბოლო შეხვედრაში მარცხი განიცადეს „შრომითი რეზერვების“ გუნდთან — 1:3.

საბოლოოდ, მოლდავეთის, „შრომითი რეზერვებისა“ და საქართველოს გუნდებმა ქულათა თანაბარი რაოდენობა დააგროვეს, მაგრამ ერთმანეთთან ნათამაშევ შეხვედრათა შედეგებით პირველ-მეორე ადგილზე გავიდნენ მოლდავეთისა და „შრომითი რეზერვების“ გუნდები, რომლებიც თასის ფინალურ გათამაშებაში მიიღებენ მონაწილეობას. საქართველოს გუნდმა მესამე ადგილი დაიკავა და გამოეთიშა ასპარეზობას.

# მეორე გუნდური ადგილი და ექვსი პრიზიორი

(დასასრული)

**აკაკი ბაბედავა** (81 კგ). სამტრედია, პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება. ამჟამად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი (მწვრთნელები — სილიბისტრო ანდღულაძე და თემურ თედიაშვილი). ჩაატარა ექვსი შეხვედრა. ყველა მოიგო. ფინალში დაამარცხა რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელი სალმან ბერდიევი.

**რამაზ ბუზარიაშვილი** (97 კგ). საგარეჯო, პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება. სწავლობს საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში (მწვრთნელი — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ჯონი ლორია). წააგო ერთადერთი ბრძოლა ფინალში (ქულის სხვაობით) საქართველოში აღზრდილ (გალელ) ბესიკ მარხულიასთან, რომელიც ამჟამად უკრაინაში სწავლობს.

**დავით გელთაძე** (54 კგ). გლდანის სპორტული სკოლა-ინტერნატი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი (მწვრთნელი ალექსანდრე ნიკურაძე). წინასწარ შეხვედრებში ერთი ბრძოლა წააგო და ჯგუფში მეორე ადგილზე გავიდა. ფინალში მოიგო ბრძოლა მესამე ადგილისთვის და ბრინჯაოს მედალს დაეპატრონა.

**მერაბ ვალიევი** (მძიმე წონა). თბილისი, „შრომითი რეზერვები“, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი (მწვრთნელები — შოთა კოტორაშვილი და სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ვანო ნიკოლაძე). ქვეჯგუფის პირველი წრის შეხვედრას უგებდა მსოფლიო ჩემპიონს ანდრეი შუმილინს (რსფსრ) ანგარიშით 3:1, მაგრამ საფინალო სასტვენამდე 40 წამით ადრე დათმო უპირატესობა და დამარცხდა 3:4. გადამწყვეტი ბრძოლა ფინალში მოიგო და III ადგილზე დარჩა.

რესპუბლიკის ნაკრების ღირსებას აღნიშნულ მოჭიდავეთა გარდა იცავდნენ: 46 კგ ნუგზარ სააკიანი (სოხუმი, პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება), 54 კგ ზაზა ზოზიროვი (გორი, პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება); 58 კგ კახი გეგუჩაძე (გლდანის სპორტული სკოლა-ინტერნატი), 74 კგ გიორგი ივანიშვილი (ყვარელი, „შრომითი რეზერვები“), 97 კგ გელა უბილავა (სოხუმი, პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება), მძიმე. გიორგი ჯანელიძე (წყალტუბო, პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება). ჩვენს გუნდს ორ წონაში (50 და 88 კგ) მოჭიდავე არ გამოუყვანია, სამაგიეროდ ორ-ორი ათლეტი ასპარეზობდა 97 კგ და მძიმე წონებში. შეჯიბრებისთვის გუნდს ამზადებდა მწვრთნელთა ბრიგადა შემდეგი შემადგენლობით: უფროსი მწვრთნელი — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი თამაზ ბენდიანაშვილი, მწვრთნელები — სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ნუგზარ სხიერელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ამირან მაისურაძე, ვლადიმერ იაშვილი და ალექსანდრე ბილანიშვილი, მეცნიერ-კონსულტანტი — ავთანდილ ჩუთლაშვილი, ექიმი — მერი მინდიაშვილი.

## ანრი ბარბიუსი

# ძალა

...ცხრა, ათი! — სამარისებურ სიჩუმეში გაისმა მსაჯის ხმა. გრძნობადაკარგული მაკ გიუ რინგიდან გაიტანეს. საშინელმა ღრიანცელმა ლამის ჭერი ახადა დარბაზს, რომელიც სამხეცეს დამსგავსებოდა. ორმოცდაათიოდე წლის წინ ამ დარბაზში შედგა ავსტრალიის ჩემპიონის — ფილ მაკ გიუსა და სანფრანცისკოელთა კერპის, ამერიკის ჩემპიონის — ოტის იერის ეს სენსაციური მატჩი. აღფრთოვანებული სპორტის მოყვარულები მქუხარე ტაშით შეხვდნენ სახელოვანი იერის გამარჯვებას — მან ხომ ძალზე მარჯვედ დასცა მაკ გიუ, მანამდე კი „მეკანიკ და ვუდვორდტის“ პავილიონებში ზედიზედ დაამარცხა სხვა ძლიერი თუ სუსტი მეტოქეები.

ამ „კეთილშობილური ხელოვნების“ მოტრფიალენი გულშემატკივართა ორსავე ბანაკში თანაბრად იყვნენ. მათ იცოდნენ, სახელგანთქმულ იერს ძლიერი მუშტი ჰქონდა, მაგრამ მაკ გიუ შესანიშნავი ყმაწვილი იყო — ყოჩაღი და ხელგაშლილი, ამიტომ ასეთ სასტიკ სასჯელს არ იმსახურებდა.

მეექვსე რაუნდში მაკ გიუ მოკრივეს აღარ ჰგავდა — რაღაც უცნაურ არსებად იქცა, რომელიც ორ თათზე შეაყენეს და თავი დაადგეს. მკლავები მოწყვეტილივით ჩამოეყარა, ტორტმანებდა, ოტის იერის ერთი შებერვაც კი ძირს დააგდებდა. იერმა ნაბიჯი უკან გადადგა და მარცხენა ხელი მთელი ძალით გაარტყა მეტოქეს. მაკ გიუმ რინგზე ზღართანი მოადინა. იგი სისხლისგან იცლებოდა... ორი დღის შემდეგ გიუ გარდაიცვალა ისე, რომ გონზე არც მოსულა. ასეთ პატიოსან მეტოქეს ჩვენი ჩემპიონი ნამდვილად უსამართლოდ მოექცა.

სახელოვანი ოტის იერი ტრიუმფულ სვლას განაგრძობდა. ოცდახუთი წლისა იგი უკვე დასავლეთის ვარსკვლავი იყო, ოცდარვისა კი ეროვნული გმირი გახდა, ზედიზედ ამარცხებდა მეტოქეებს და თავად ერთხელაც არ უგემნია ნოკაუტი. ფრედ მხოლოდ ორი მატჩი დაამთავრა. ოთხჯერ უსამართლო განაჩენი გამოუტანიათ მისთვის, როგორც ამ სადავო მატჩების ირგვლივ გაზეთებში ატეხილი კამათიდან ჩანდა, მსაჯების გადაწყვეტილება თითქმის ყოველთვის საეჭვო იყო.

გავიდა 10, 20 წელი. იერი კვლავ რინგის „უძლეველი მეფე“ იყო, ისეთივე ბრგე და წარმოსადეგი. ერთიანად დაკუნთული სხეული ეროვნულ მუზეუმში გამოფენილი გლადიატორის ფიგურას მიუგავდა. მან ხუთგზის მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონობა, მეექვსე წელს კი მხოლოდ იმიტომ დაკარგა ეს წოდება, რომ აღარ ვარჯიშობდა.

ყველა სპორტული გაზეთი ამტკიცებდა — რომ მოენდომებინა, ოტის იერი გიუ ჯიბსონს და ბევრ სხვასაც დაამარცხებდაო. მაგრამ იერმა თევზაობა ამჯობინა. მობეზრდა ჩემპიონობა. სპორტს თანდათან ჩამოშორდა. 60 წლისა რომ შესრულდა, განაცხადა, კრივს საბოლოოდ თავს ვანებებო. კაფეს გახსნას აპირებდა ნიუ-იორკში. მიუხედავად ამისა, ეს გოლიათი მაინც უძლეველის სახელს ატარებდა. რინგის მტვერი არასოდეს მოუწმენდია, ყოველი შეხვედრის დამთავრების შემდეგ ფეხზე იდგა ძლიერების გამომხატველ ქანდაკებასავით წელგამართული. დიდება ჩვენს ეროვნულ გმირსა და მსოფლიო ჩემპიონს — ოტის იერს!

როცა ხმა დაირხა, იერი რინგს ემშვიდობებაო, კანადელმა მენეჯერმა ფლოიდმა ერთ საღამოს მას შეურაცხყოფა მიაყენა. იერს სისხლი ყელში მოაწვა. თავის იმპრესარიოს — ჯიმ შარპს სთხოვა, სასწრაფოდ დააზუსტე ახალი მატჩის პირობები უცნობ მოკრივესთან, რომელიც ფლოიდმა სხვათა შორის ახსენაო.

დამსწრეებმა ოვაციების ღრიანცელი ატეხეს, — მალე კვლავ რინგზე იხილავენ სახელოვან ოტის იერს!

მოკრივე, რომლის სურვილითაც უნდა შემდგარიყო ეს მატჩი, ახალგაზრდა დიკ მაკ გიუ, იერის მიერ საბედისწერო ნოკაუტით მოკლული ფილ მაკ გიუს შვილი იყო. მამის ტრაგიკული სიკვდილის დროს დიკი ძალიან პატარა იყო. მან მხოლოდ მოგვიანებით შეიტყო ამ მატჩის ზოგიერთი წვრილმანი და მის გულში დაისადგურა დიდმა სიძულვილმა იმ მხეცისადმი, რომელმაც ასე უმიზეზოდ დაობლა. დიკი შურისძიებაზე ოცნებობდა, მონდომებით ვარჯიშობდა და ერიდებოდა იმ ქალაქებს, სადაც ათასფრად აჭრელებული აფიშები საზიზღარი მკვლელის სახელს ახსენებდნენ. მაკ გიუმ მოიარა ავსტრალია, ინგლისი, საფრანგეთი... მაშინ საფრანგეთში ის-ის იყო იღვიძებდა ინტერესი ამ სპორტისადმი. ფრანგებიც სპორტულმა აზარტმა შეიპყრო. დიკმა მიზანს მიაღწია — საუკეთესო მოკრივე გახდა. როცა იგრძნო შურისძიებისთვის ძალა შემწევსო, იგი იერის საპოვნელად გაემგზავრა და ბოლოს, როგორც ვთქვით, მის რინგზე გამოწვევაც შეძლო.

ამ შეხვედრაში, რომლის დავიწყებაც, იუპიტერს ვფიცავ, შეუძლებელია, ასაკთა სხვაობის გამო ძალები მეტად უთანაბრო იყო. რაგინდ მაგარი და უდრეკი ყოფილიყო ბებერი მუხა, რაგინდ ძლიერი კუნთები ჰქონოდა, ეს ორთაბრძოლა მას კარგს არაფერს უქადდა. იერის გულშემატკივრები შიშმა შეიპყრო. ყველაფერი გაითვალისწინეს, მაგრამ დაუჯერებელი იყო, რომ ეს ვეება, უკვე გაცვეთილი ბებერი, ჯან-ღონით სავსე ახალგაზრდას დაამარცხებდა. ნუთუ ოტის იერის სახელი ერთმა ნოკაუტმა უნდა შებღალოს? არავითარ შემთხვევაში! ბებერი ლომი კვლავ იზეიმებს!

დაწვრილებით არ აღვწერ ამ შეხვედრას, ვიტყვი მხოლოდ, რომ ჩემს დღეში არ მინახავს ამაზე უფრო დრამატული მატჩი. და კიდევ: უნდა აღვნიშნო იერის ჯიბსი პირველ რაუნდში, რამაც მოწინააღმდეგე დააბნია, და ორი სვინგი მეორეში — ერთი მარჯვენით — ყბაში, მეორე — მარჯვენითვე — მუცელში; ბოლოს კი — უძლიერესი დარტყმა გულის კოვზში. თუმცა დაუჯერებელი ამბავია, მაგრამ ფაქტია, იერმა ჩვილი ბავშვივით გააყუჩა ვილ ედენი (შურისძიების განზრახვის დასაფარად, მაკ გიუ თავის ნამდვილ გვარს არ ატარებდა). დამარცხების შემდეგ დიკი რომელიღაც პროვინციაში გადაიკარგა და ვინმე დალაქს დაუდგა შეგირდად. ამის შემდეგ ოტის იერმა საბოლოოდ მიატოვა კრივი.

ამაღელვებელი იყო გაცილების ცერემონიალი! დეტროიტელი ჯალათი დენ სიმონსიც კი ცხარე ცრემლებით ტიროდა. იერმა გამოსათხოვარი სიტყვა წარმოთქვა. მერე კი ყველამ იმდენი ვსვით, რომ სამი დღის წყურვილი ერთად მოვიკალით.

რა შეედრება ჰოკნიე ჰილს აპრილში, როცა მისი ვიწრო, სწორი ბილიკები და ქაშანურივით მოელვარე კენჭები მზის თბილი სხივებითაა გაბრწყინებული.

ერთხელ ამ პარკის ერთ-ერთ ულამაზეს კუთხეში მოხუცი კაცი გამოჩნდა. მაღალი ტანისა იყო, ძალზე მოხდენილი. დიდი თავი განუწყვეტლივ უცახცახებდა. ეს უცნაური „ნანგრევი“ მწვანედ შეღებილ სკამზე ჩამოჯდა და აბიბინებულ მდელოს გადახედა. ცისფერი, მღვრიე თვალები, რომელთა ფოსოებშიც, იფიქრებდით, მუშტი ჩაეტევაო, ეცრემლებოდა.

მოხუცის ყურადღება მიიპყრო პატარა არსებამ, რომელიც თითქოს პირდაპირ მისკენ მიემართებოდა.

— ეჰე, ჰე... ჰა... ჰა... — ჩაიჩიფჩიფა გახარებულმა ბერიკაცმა. მისმა ჩამქრალმა თვალებმა ათიოდე ნაბიჯზე გაარჩია ხუთი-ექვსი წლის ბიჭუნა, რომელსაც ხის ქოშები ეჭირა და მისკენ მიტანტალებდა.

ბიჭუნა მოხუცთან მივიდა, წინ დაუდგა და ჰკითხა:

— თქვენ ოტის იერი ხართ?

— სინდისს გეფიცები, მგონი მე ვარ, — ჩაიცინა გამოცოცხლებულმა მოხუცმა.

— მაშ, კარგი, — უთხრა ბავშვმა, — მე ვარ ბობ მაკ გიუ, ფილის შვილიშვილი და დიკის შვილი. ახლავე ჩაგაგდებთ ნოკაუტში.

ამ სიტყვების წარმოთქმისთანავე ბიჭუნამ მოკრივის პოზა მიიღო. ოდნავ შემკრთალმა ექს-ჩემპიონმა პირი დააღო, მაგრამ უმალვე მოკუმა, რადგან, ღმერთმანი, საკმაოდ ძლიერი სვინგი და კიდევ ორი დარტყმა მიიღო. იერმა დიდი დასუსტებული ხელები ასწია თავის დასაცავად, უხერხულად მოიგერია დარტყმა, მაგრამ მაინც დამარცხდა; დამარცხდა თავის მეტოქეთაგან ყველაზე უმცროსთან. სახევასისხლიანებულმა მოხუცმა დაიკვნესა და უსულოდ დაეცა. ბავშვმა სერიოზული სახით დაითვალა ათამდე და რაკი ბებერი ლომი აღარ განძრეულა, ცერებზე აიწია, გამარჯვებული მამლაყინწასავით შეჰყივლა და შინისკენ მოკურცხლა.

ფრანგულიდან თარგმნა
**როენა ყენიამ.**

## დალიკაგიჩის აზრით

სახელგანთქმული იუგოსლაველი კალათბურთელი დრაჟენ დალიპაგიჩი ოთხი ოლიმპიადის მონაწილეა და ყველა ხარისხის ოლიმპიური მედლის მფლობელი. 1976 წელს მონრეალში — ვერცხლი, 1980 წელს მოსკოვში — ოქრო, 1984 წელს ლოს-ანჯელესში — ბრინჯაო. დალიპაგიჩმა სულ ბოლოს ნაკრების მაისური 1986 წელს ესპანეთში მსოფლიო X ჩემპიონატის დროს ჩაიცვა. ახლა 37 წლის დალიპაგიჩი წარმატებით გამოდის იტალიის ჩემპიონატში და ვენეციის კლუბის ღირსებას იცავს.

საინტერესოა, რას ფიქრობს სახელმოხვეჭილი ვეტერანი კალათბურთელთა ოლიმპიური ტურნირის შესახებ სეულში. მისი აზრით, ოქროს მედლების მთავარი პრეტენდენტები არიან: აშშ, საბჭოთა კავშირი და იუგოსლავია. დალიპაგიჩი ვარაუდობს, რომ დანარჩენ გუნდებს გაუჭირდებათ ამ ტრიუმვირატის დავაში ჩარევა, რადგან თამაშის კლასით მაინც ჩამოუვარდებიან ფავორიტებს.

**მერაბ კალანდაძე.**

რედაქტორი
**თ. გაჩეჩილაძე.**



**თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი**

(ი. წერეთლის გამზ. № 2)

31 აგვისტო

**ფეხბურთი**

საქართველოს თასის ფინალი

**„შადრევანი“ (წყალტუბო) — „მადნეული“ (ბოლნისი)**

დასაწყისი 19 საათზე.

უამინდობის შემთხვევაში თამაში შედგება „ლოკომოტივის“ სტადიონზე იმავე დროს.

პროფკავშირთა ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების თბილისის საქალაქო საბჭოს ბავშვთა და მოზარდთა ჭიდაობის სპორტსკოლის დირექცია აცხადებს 1976-78 წლებში დაბადებულ მოსწავლეთა მიღებას 1988-89 სასწავლო წლისათვის (თავისუფალი, კლასიკური, ძიუდოსა და სამბოს ჭიდაობის სახეებში). მიღება მიმდინარეობს ყოველ დღე 10-დან 12 საათამდე და 15-დან 18 საათამდე. სკოლის მისამართია ტელმანის ქ. № 8.

**ჩვენი მისამართი:**
**წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14,**
**დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,**

**რედაქციის ტელეფონები:**
**წერილების განყოფილება — 93-97-55,**
**სამდივნო — 93-97-52,**
**ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,**
**„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.**

**ჩვენი ინდექსი 66435**

**საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.**

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 05537